ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ

• აი, რა მოაქვს ენთუზიაზმს!
• ახალი პროგრესული სისტემა
• რეკორდი დამტკიცდა... 50 წლის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს IV სესიამ. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოკლე სამოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მიღებულ იქნა კანონი კოლმეურნეობათა წევრებისთვის პენსიებისა და დახმარების შესახებ, აგრეთვე კანონი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს წინადადება შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლონ ლ. ი. ბრეჟნევი, რადგან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ამხ. ბრეჟნევმა მთელი ძალღონე მოახმაროს საქმიანობას პარტიის ცენტრალურ კომიტეტში როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანმა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის რჩევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ი. მიკოიანი.

ერთხმად იქნა დამტკიცებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-30 წელი

№ 139 (2502) ◉ ხუთშაბათი, 16 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

დიდი გამოცდის წინ

დღეს დელისის იპოდრომზე სტარტი მიეცემა რესპუბლიკის კოლმეურნე-ცხენოსანთა პირად-გუნდურ პირველობას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ზუგდიდის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის და სხვა რაიონების მოწინავე სპორტსმენები. მონაწილეთა შორის იქნებიან სსრ კავშირის ჩემპიონები სოფლის სპორტსმენთა შორის — გუდაუთელი ვ. ტანია და გულრიფშელი ო. ხაინდრავა. დიდ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა ზუგდიდელმა მხედარმა შ. გულორდავამ, რომელმაც ჭაბუკთა გაბული წლის საკავშირო პირველობაში II ადგილი დაიკავა. იგი ვიცე-ჩემპიონი გახდა სოფლის სპორტსმენთა იმავე წლის ჩემპიონატშიც.

საკავშირო შეჯიბრებებში თავი ისახელეს და მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს მხედრებმა ვ. დარახელიამ, დ. ხოფერიამ, დ. მალანიამ, რომლებიც სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ.

წლევანდელი პირველობა საიუბილეოა სოფლის სპორტსმენთათვის (10 წელი). იგი ამავე დროს „გენერალური რეპეტიცია“ იქნება საკავშირო შეჯიბრების წინ, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში გაიმართება თბილისში. ყველაფერი ეს სპორტსმენთაგან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, რადგან სწორედ ამ შეჯიბრებაზე უნდა დაკომპლექტდეს რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა ნაკრები, რომელიც საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს საკავშირო ჩემპიონატში.

ᲔᲥᲕᲕᲜᲔᲑᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲬᲔᲚᲡ

ხვალ, 17 ივლისს, ფრუნზეში, კიშინიოვსა და ტალინში სტარტი ეძლევა მოსწავლეთა საკავშირო ზონალურ სპარტაკიადებს. ამ ღონისძიებაში, რომელიც ეძღვნება მიმდინარე ოლიმპიურ წელს, ნორჩები გამოცდიან თავიანთ ძალებს, დაიბადება ახალი რეკორდები, გამოჩნდება აქამდე უცნობი სახეები, რომელთაგან ბევრი ალბათ მეხიკოში 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

ფრუნზეს ზონაში პირველობას გაითამაშებენ შუა აზიისა და ყაზახეთის რესპუბლიკების ნორჩი სპორტსმენები, კიშინიოვში კი — მოლდავეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ლიტვის კოლექტივები.

საქართველოს მოსწავლე-სპორტსმენები გამოვლენ ესტონეთის დედაქალაქ ტალინში. აქ მათი მეტოქეები იქნებიან ესტონეთის, ბელორუსიის, ლატვიისა და ლენინგრადის ძლიერი კოლექტივები. აღსანიშნავია, რომ წინა ზონალურ სპარტაკიადებზე საქართველოს მოსწავლეები მუდამ 1 ადგილზე გამოდიოდნენ. როგორ წარიმართება წლევანდელი ბრძოლა, ამის თქმა ძნელია, რადგან ტალინის ზონაში მოხვედრილი კოლექტივები თავისი შემადგენლობით სხვა ზონებთან შედარებით ძალზე ძლიერნი არიან.

ამ დიდ შეჯიბრებაზე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები წარმოდგენილი იქნება 270 სპორტსმენით. 17 ივლისს ასპარეზობაში ჩაებმებიან ჩოგბურთელები, კალათბურთელები, ფეხბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები და ფრენბურთელები. მეორე დღეს მათ შეუერთდებიან მოჭადრაკენი, მოცურავენი და ხელბურთელები. 20 ივლისს სპორტულ სარბიელს დაიპყრობენ წყალბურთელები, მოშაშენი, წყალში მხტომელები, ტანმოვარჯიშენი, ნიჩბოსნები, მძლეოსნები, მსროლელები და ველოსიპედისტები. ამავე დღეს მოეწყობა ზონალური სპარტაკიადის საზეიმო გახსნა (ასპარეზობის ფინიში — 24 ივლისსაა).

წარმატებული სტარტი და ფინიში, საქართველოს ნორჩო სპორტსმენებო!

სსრ კავშირის ორი რეკორდი

● კიევი, 15 ივლისი. აქ დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი ძალოსნობაში. უმჩატეს წონაში პირველობა არავის დაუთმო ვ. სმეტანინმა, რომელმაც სამჭიდში დააგროვა 312,5 კგ და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. ჩემპიონმა ჩვენს ქვეყანაში სარეკორდო შედეგი აჩვენა აკვრაშიც — 128 კგ. მიატე წონაში 1 ადგილი დაიკავა ა. ვახონინმა — 345 კგ. აღსანიშნავია, რომ ამ ჩემპიონატის დაწყებამდე სხვადასხვა შეჯიბრებაზე 49 საბჭოთა ძალოსანმა შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი. ახე რომ, სსრ კავშირს ტოკიოში 7 გუნდის გაგზავნის უნარი შესწევს.

✦ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

▲ გაიმართა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. შეხვედრები ასე დამთავრდა: „თერგი“ (გროზნო) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 3:0, „შირაქი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (ყიროვაბადი) 1:0.

▲ ბუენოს-აირესი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის IV ტურში მსოფლიო ჩემპიონმა პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა არგენტინელ ბოლბოჩანთან, ხოლო საბჭოთა დიდოსტატმა კერესმა დაამარცხა კუბელი გარსია.

▲ ჯაჩი (უნგრეთი). ლ. ასტალოშის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეების — ხოლმოვისა და გიპსლისის პარტია ყაიმით დამთავრდა.

33 : 17

● ლენინგრადი, 15 ივლისი. სსრ კავშირ—იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩის უკანასკნელი ტურის წინ ანგარიშია 33:17 ჩვენი სპორტსმენების სასარგებლოდ. მიუხედავად დარჩენილი ერთი კალენდარული დღისა, მათ გაინაღდეს საერთო გამარჯვება.

სტადიონის მშენებლობა ალჟირში

13 ივლისს ქალაქ შერაგაში ალჟირის პრეზიდენტმა ბენ ბელამ საზეიმოდ გახსნა ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა, რომელიც 100.000 მაყურებელზეა განსაზღვრული.

პრეზიდენტის წერაქვის პირველი დარტყმა იყო ნიშანი და 500-მა მოხალისემ დაიწყო სტადიონის შენება. სამუშაოების დაწყების წინ ბენ ბელამ განაცხადა: „სოციალისტური ალჟირისთვის, რომელიც ჩვენ გვინდა ავაშენოთ, უნდა ვიშრომოთ... მთელმა ხალხმა, უპირველეს ყოვლისა კი ახალგაზრდობამ, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ საქმეში“.

ტრასაზეა 12 წინაღობა

ცხენოსანთა საკავშირო ასპარეზობა

მოსკოვი, 15 ივლისი (ტელეფონით ჩვენი კორ.). ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ცხენოსანთა შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე მრავალრიცხოვან მაყურებელს იზიდავს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ „სამონადირო პარკურში“, ეს იყო რთული ტრასა 100—140 სანტიმეტრის სიმაღლის 12 წინაღობით.

ცსკა-ს I გუნდის წევრმა ვ. კონკოვმა უშეცდომოდ და ყველაზე სწრაფად დაფარა დისტანცია (1.20,4) და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. მეორე ადგილზეა არმიელი ე. შაბაილო (1.22,5). მესამეზე — დინამოელი ნ. გუსელნიკოვი (1.29,5).

კონგრესი ციურიხში

ციურიხში მიმდინარეობს ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ყოველწლიური კონგრესი. ზოგიერთი საკითხი უკვე გადაწყდა. მაგალითად, ტანმოვარჯიშე ქალთა ევროპის მორიგი ჩემპიონატი გაიმართება მომავალი წლის მაისში ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში. მაისში გაიმართება ვაჟთა ჩემპიონატიც (ანტვერპენში).

გარდა ამისა, გამოირკვა, რომ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფიშისტურ პორტუგალიაში არ ჩატარდება იმის გამო, რომ ამ ქვეყნის ფედერაციამ უარი განაცხადა შეჯიბრების მოწყობაზე.

კონგრესმა აირჩია ტექნიკური კომისიის ახალი შემადგენლობა. სსრ კავშირიდან მასში შევიდა ვ. მურატოვი; ქალთა კომისიაში კვლავ არჩეულია ტ. დემიდენკო.

კალათბურთი 1965 წელს

როგორც ბელგრადის გაზეთ „სპორტის“ ყოველკვირეული დამატება იუწყება, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამას წინათ იმსჯელა 1965 წლის კალენდარზე და შეარჩია ზოგიერთი შეჯიბრების ჩატარების ადგილები. ევროპის XIV პირველობა ვაჟთა გუნდებს შორის მოეწყობა სსრ კავშირში.

გადაწყდა იუნიორ ქალთა ევროპული ტურნირის ჩატარებაც. ეს საინტერესო შეჯიბრება გაიმართება ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში.



საქართველოს ჭაბუკ მოცურავეთა შორის ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება თბილისელი ვ. სმირნოვი. სურათზე: ვ. სმირნოვი დისტანციაზე.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 5-14, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.

ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲣᲠᲘ

დღევანდელი წარმატებები — მომავლის ხიდად

კასპის ბავშვთა სპორტული სკოლა 1961 წელს შეიქმნა. მიმდინარე წელს კი იგი უკვე ზეიმობდა ორ „უმაღლეს“ გამარჯვებას: აქაურ სექციაში აღზრდილმა მოსწავლეებმა გ. ბეინაშვილმა და ს. პატენკომ წარმატებით დაიცვეს არა მხოლოდ მშობლიური სკოლისა და რაიონის, არამედ რესპუბლიკის სპორტული ღირსებაც საკავშირო ასპარეზზე და გახდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები ჰაბეკთა შორის ჭიდაობა სამბოში.

ეს იყო ყველაზე დიდი წარმატება, მაგრამ არა პირველი და, უეჭველია, არც უკანასკნელი. საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებამდე სპორტსკოლის აღსაზრდელები სხვა გამარჯვებებით „მოკირწყლულმა“ გზამ მოიყვანა. სულ სამი წელია არსებობს რაიონის ნორჩ სპორტსმენთა აღმზრდელი ეს კერა, მაგრამ მის კედლებს შუა გაშლილმა შრომამ უკვე შარშანვე გამოიღო პირველი ხაყოფი. მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე კასპის ბავშვთა სპორტული სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებიც რაიონის სახელით გამოდიოდნენ, მოიპოვეს არაერთი მაღალი შედეგი და საკმარდ მდიდარი „ნადავლითაც“ აღიპურვენ. მაშინ კასპს საქართველოს მისაღწევლეთა ორი მოკიდავე-ფალავანი დაუბრუნდა უკან. სპარტაკიადის II ჯგუფის გუნდებს შორის უძლიერეს ის ახლი ჩამოიტანეს მაგიდის ჩოგბურთელმა გოგონებმაც. საერთო ჩათვლაში კი (გოგონები და ჭაბუკები) ამ სახეობაში კასპელმა სპორტსმენებმა III საპრიზო ადგილი დაიკავეს. წარმატებით დაიცვეს რაიონის სპორტული ღირსება სკოლის ნორჩმა ვეღოსიპედისტებმაც, რომლებმაც ამავე ჯგუფში წინ მხოლოდ ორი მეტოქე გაუშვეს. აქაურმა მოსწავლე ფეხბურთელებმა კი რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალურ ტურნირში მოპოვებული I ადგილი ჩამოუტანეს მშობლიურ სკოლას.

ასეთია სპორტსკოლის აღსაზრდელთა მიღწევები დროის ესოდენ მცირე მონაკვეთში. ცხადია, წარმატებებს ადგილი არ ექნებოდა, რომ მათ პირველ საფუძვლად არ ედოს მომეცადინეთათვის განკუთვნილი სპორტული ბაზების საკმაოდ მდიდარი ქსელი. ნორჩი ფიზკულტურელების განკარგულებაშია კაპიტალური საჭიდაო ასპარეზი, ვრცელი სპორტული დარბაზი, ფეხბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

მაგრამ, მაინც, ეს არ არის საბოლოოდ გადამწყვეტი ფაქტორი. სკოლის წარმატებებს განაპირობებს მის ენთუზიასტ მწვრთნელ-აღმზრდელთა მუშაობა.

ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში და რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში — ლავრენტი კაციაშვილი სპორტისადმი დიდმა სიყვარულმა მოიყვანა აქ სკოლის ხელმძღვანელად. მას შემდეგ, რაც შაკმა თავისი გაიტანა და უკან დარჩა პირადი წარმატებანი საჭიდაო ასპარეზზე. ჭიდაობის ვეტერანმა მაინც მონახა, საკუთარი გულის კარნახით მონახა გზა ისევ სპორტთან დაბრუნებისა. დრომ თავისი გაიტანა, მაგრამ ლავრენტიმ მაინც შეძლო მისი დაძლევა. საკუთარი „ხელწერისა“ და გამოცდილების გავრცელება ისევ და ისევ საჭიდაო სარბიელზე. შორს ნუღარ წავალთ: ამ „ხელწერით“ გამოკვეთეს სასიქადულო გამარჯვებები საკავშირო ჩემპიონატზე სწორედ მისმა აღზრდილებმა, მისმა ბეჭითმა მოსწავლეებმა პატენკომ და ბეინიშვილმა. ეჭვი არაა, იმ 40 აღსაზრდელიდანაც ბევრი იტყვის თავის სიტყვას, რომლებიც ლ. კაციაშვილს მდიდარ გამოცდილებას ეწაფება სამბოს, ქართული და თავისუფალი ჭიდაობის სექციებში.

სკოლის დირექტორსა და მწვრთნელს ერთგულად უდგანან მხარში მაგიდის ჩოგბურთის სექციის ხელმძღვანელი გ. ოთარაშვილი, რომელიც 22 ბავშვს ამეცადინებს, ნორჩ ფეხბურთელთა მწვრთნელი რ. ტყემალაძე და სხვანი. ნაყოფიერი მუშაობა ჩქეფს მოსწავლე მძლეოსანთა და ვეღოსიპედისტთა შორისაც.

თუმცა, ერთი რამ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ კასპის სპორტსკოლის მესვეურებს. მათ კიდევ უფრო მეტად უნდა იზრუნონ მუშაობის მასშტაბების გასაშლელად და ახალ-ახალ სახეობებთან „აზიარონ“ ადგილობრივი მოსწავლეები. აი, ერთი კონკრეტული მაგალითიც: ბევრ რაიონს შეშურდება ტანვარჯიშული დარბაზი, რომელიც ამ სკოლის განკარგულებაშია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სახეობა აქ არავითარი ყურადღებით არ სარგებლობს.

მაგრამ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: სპორტულ სკოლას სულ რაღაც 3 წლის ისტორია აქვს. წინ კი უამრავი დროა იმისთვის, რომ ნორჩ სპორტსმენთა აღმზრდელმა კერამ კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს ფრთები და ახალი, დღითი-დღე მზარდი წარმატებებით გაახაროს რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა.

შ. ვადაბჯორია
(ჩვენი სპეც. კორ.).

კასპი.

სპორტული ცხოვრება ცხინვალში

● **ცხინვალში** 1964 წლის საოლქო თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ცხინვალის, ლენინგორის, ჯავისა და ზნაურის ნაკრები გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცხინვალისა და ჯავის სპორტმენები. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ცხინვალელთა გამარჯვებით (3:2), რომელთაც გადაეცათ თასი.

● **ზნაურში** ჩატარდა რაიონის 1964 წლის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონითი კატეგორიების სპორტსმენები. რაიონის ფალავნის წოდება მოიპოვა ვ. ფუხაევმა (სოფელი თიღვა), მეორე ადგილზეა ა. მელანაშვილი (კეხვი).

ვ. მელქოევი
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

რესპუბლიკური ჩემპიონატი — კოლმეურნეობის კულტურის სასლში

წარსულში წარჩინებულმა ფიზკულტურელმა, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. გოგუამ ისე დააყენა საქმე, რომ ხალხი არამც თუ მარტო მინდვრებსა და პლანტაციებში ეწევა თავგამოდებულ შრომას, არამედ თავისუფალი დროს-მეტ ნაწილს უთმობს სპორტის სხვადასხვა სახეობის დაუფლებას.

როგორ მუშაობს კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი? გ. აკობიას სოფელში ყველა იცნობს, იგი კოლმეურნეობაში მძღოლად მუშაობს და ამავე დროს, თბილისის საკრედიტო-ფინანსური ტექნიკუმის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტია. იგი კოჩარას ფეხბურთელთა გუნდის შეუცვლელი მოთამაშეა და სამუშაოდან თავისუფალ დროს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებათა მოწყობა-ჩატარებას ახმარს. მას დიდ დახმარებას უწევს ამავე სოფლის სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. გელაშვილი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე სოფლის ახალგაზრდობას ასწავლის ჭიდაობის სხვადასხვა სახეობას.

ფიზკულტურის კოლექტივი თავის რიგებში აერთიანებს „კოლმეურნის“ 560 წევრს. აქ კულტივირებულია ცხენოსნობა, ქართული და თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ძალოსნობა და ჭადრაკი. ამ სექციებში მეცადინეობებს ატარებენ საზოგადოებრივი მწვრთნელები.

და არაფერი იყო გასაკვირი, როცა „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ პირველობა ძალოსნობაში სწორედ სოფელ კოჩარას მილიონერი კოლმეურნეობის კეთილმოწყობილ კულტურის სახლში გამართა. ასპარეზობამ კოლმეურნე ახალგაზრდობის აუწერელი ინტერესი გამოიწვია. ფიცარნაგზე 100-ზე მეტი ძალოსანი გამოვიდა. აფხაზეთის ნაკრებში კოჩარას ფიზკულტურის კოლექტივის 3 წევრი იყო. მათ შორის, ვ. ეგორკინმა მეორე ადგილი დაიკავა, შ. მარხულიამ — მესამე, ხოლო გ. ახობაძე მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაისაკუთრა გარდაბნის ნაკრებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ახალციხის რაიონის გუნდი, ხოლო მესამეზე — ოჩამჩირის რაიონის ახალგაზრდული კოლექტივი.

„კოლმეურნის“ ჩემპიონობა მოიპოვეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): — შ. კაზაროვმა, სპორტის ოსტატმა ს. ფოლოსიანმა (ორივენი — ახალციხიდან), სპორტის ოსტატმა რ. დათიკაშვილმა (გარდაბანი), სპორტის ოსტატმა დ. ჯეირანოვმა (წალკა), ნ. მირზოიანმა (ოჩამჩირე), სპორტის ოსტატმა ზ. პაპიძემ (საჩხერე), გ. ჯინჭარაძემ (ჩაქვი), სპორტის ოსტატმა გ. კოშაძემ (გარდაბანი) და ს. ხოჯოიანმა (ახალციხე).

ცენტრალურმა საბჭომ შეჯიბრების კარგად მოწყობაში აქტიური დახმარებისათვის სპატიო სიგელით დააჯილდოვა კოჩარას კოლმეურნეობის გამგეობისა და კულტურის სახლის კოლექტივები.

შ. კულულაშვილი,
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სპორტული განყოფილების ინსტრუქტორი.

ნაკრის ნაკვალევი

ხულიგნები ფეხბურთის მინდვრებიდან — შორს!

სამ თვეს გრძელდებოდა აჭარის ფეხბურთელთა ჩემპიონატი, რომელშიც ფიზკულტურული კოლექტივების 9 გუნდი მონაწილეობდა.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ ჩემპიონის წოდება დამსახურებულად მოიპოვა ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის გუნდმა (მწვრთნელი შ. დევდარიანი), რომელმაც 5 შეხვედრა მოიგო, 3 ფრედ დაამთავრა და არც ერთი არ წაუგია: 13 ქულა, ბურთების სხვაობა — 19—4. მეორე ადგილზე არიან ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ფეხბურთელები, რომლებიც 1 ქულით ჩამორჩნენ ჩემპიონს.

პირველობისთვის კარგად მოემზადნენ არა მარტო ბათუმის, არამედ რაიონების გუნდებიც, მაგრამ წარმატება უნდა მოიპოვო პატიოსანი სპორტული ბრძოლით და არა ისე, როგორც ეს ზოგიერთი გუნდის მოთამაშეებს ესმით. ისინი იყენებენ აკრძალულ ხერხებს, უხეშობენ, ეკამათებიან მსაჯს. მაგალითად, ასეთი ფაქტი: თამაშობდნენ ხისდამუშავებელი კომბინატისა და მანქანათმშენებელი ქარხნის გუნდები. მსაჯმა უხეშობისთვის მინდვრიდან გაძევა ნ. შანიძე (კომბინატი) და ა. მინჩოიანი (მანქანათმშენებელი ქარხანა). აჭარის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებით შანიძეს აეკრძალა 3 თამაშში მონაწილეობა, ხოლო მინჩოიანს — 2-ში. აქვე უნდა აღვნიშნოთ გასული წლის ჩემპიონის — ორჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდის წარუმატებლობა და ხულიგნობაც. ქობულეთის „სპარტაკის“ ახალგაზრდულ კოლექტივთან შეხვედრისას ბათუმელი მსაჯი რ. ლაზიშვილი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა ორჩხამურელი ვ. სვანიძე და ქობულეთელი ვ. სირაძე. ორჩხამურელმა გ. ბერძენიშვილმა სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა: მან ფიზიკურად შეურაცხყო ქობულეთელი მოთამაშე, რისთვისაც მსაჯმა სამართლიანად დაატოვებინა მას მინდორი. სირაძესა და სვანიძეს დისკვალიფიკაცია მიეცათ თითო თამაშით, ხოლო ბერძენიშვილს — წლის ბოლომდე.

უნდა აღინიშნოს ქედის რაიონის ნაკრების არასპორტული გამოსდომებიც. მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ქედელებმა (თამაშს სჯიდა კვალიფიციური მსაჯი ბათუმელი ი. რუსეიშვილი) დემონსტრაციულად დატოვეს მინდორი როცა ქობულეთის „სპარტაკთან“ შეხვედრის დამთავრებას აკლდა 15 წუთი. ქედის გუნდს ჩაეთვალა დამარცხება, ხოლო მის კაპიტანს კ. ალექსანდრიდის დისკვალიფიკაცია მიეცა 2 მატჩით.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგერთ გუნდში სათანადო ყურადღება არ ექცევა სპორტსმენის მორალურ აღზრდას, დაბალ დონეზე დგას პოლიტ-მასობრივი მუშაობა.

გ. სარჯველაძე

ბათუმი.





არსებობს მოტოსპორტის რამდენიმე ნაირსახეობა: რბოლა წიდიან ბილიკზე (ე. წ. საიპოდრომო), ყინულზე და სხვ. ჩამოთვლილ სახეობებში მაღალი წარმატებები აქვთ მოპოვებული ქალაქ უფის სპორტსმენებს.

მოტოციკლისტთა უმრავლესობა ქალაქის მე-8 სამშენებლო ტრესტის მოტოკლუბის აღზრდილია. სპორტის 21 ოსტატი, 40 პირველთანრიგოსანი, სულ 102 თანრიგოსანი — ასეთია ამ კოლექტივის ძალა.

მოტოკლუბის აღზრდილთა შორის არიან საკვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის არაერთგზის ჩემპიონები — ბ. სამოროდოვი და ფ. შაინუროვი, ახალგაზრდა სპორტის ოსტატები ა. კადიროვი — სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი და ამავე ტურნირების II პრიზიორი ვ. დუბინინი, მოტოსპორტის ვეტერანი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი საიპოდრომო რბოლაში ი. დუდორინი და სხვ.

მოტოკლუბი სამშენებლო ტრესტის ფიზკულტურული კოლექტივის მხოლოდ ერთ-ერთი ძლიერი სექციაა. აქაური ახალგაზრდები წარმატებით ეუფლებიან სხვა სახეობებსაც. ტრესტის 2.000-მდე მუშაკიდან ნახევარზე მეტს სპორტული თანრიგი აქვს.

ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე, მეორე მძიმე წონის ძალოსანი, სპორტის ოსტატი გ. აფერინი რსფსრ-ს არაერთგზის ჩემპიონია. იგი გულმოდგინედ ავარჯიშებს ძალოსნებს, რომლებსაც ხშირად უჩვენებიათ მაღალი შედეგები „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოსა და რსფსრ-ს პირველობებზე. ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი ვარჯიშობს ფარიკაობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მხატვრული ტანვარჯიშისა და სხვა სექციებში.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (მარცხნივ) ტრესტის ფეხბურთელები ვარჯიშზე. (მარჯვნივ) მოტოციკლისტები საწვრთნელი მეცადინეობის დროს. სპორტის ოსტატი ფ. შაინუროვი (მარჯვნიდან მეორე) ამეცადინებს ახალგაზრდა სპორტსმენებს.

ფოტო ი. კაპლუნისა (საკადესი).

„ლელოს“ წარიღებს კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის ა. წ. 17 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი — „როცა აღმზრდელი აღსაზრდელია“, ეხებოდა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე აჭარის მოსწავლე კალათბურთელ გოგონათა გუნდის მწვრთნელის გ. შენაბდიხ თავზეუკავებელ, უხეშ მოქმედებას მხაჯთა კოლეგიის მიმართ.

როგორც აჭარის განათლების მინისტრი ამხ. ც. წულუკიძე გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტი განიხილა აჭარის განათლების სამინისტროს კოლეგიისა და აჭარის სპორტკავშირის პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ. გ. შენაბდიხადმი მიღებული იქნა ადმინისტრაციული ზომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ჩქარბაზე

იმედები და პროგნოზები

ტოკიოს ოლიმპიადამდე 100 დღეზე ნაკლები დარჩა. დროის სწრაფმა დინებამ დააჩქარა იაპონიის ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული ფედერაციების „ბრძოლის“ დამთავრება. გაიმარჯვეს უკანასკნელებმა: ოლიმპიადაში იაპონია თავის წარმომადგენლებს გამოიყვანს სპორტის ყველა 20 სახეობაში. ამას წინათ გამოცხადებული იყო ამ ქვეყნის ოლიმპიური გუნდის რიცხვობრივი შემადგენლობა — 338 კაცი. ეს ყველაზე დიდი კოლექტივია, რომელიც ოდესმე გამოსულა ოლიმპიადაში იაპონიის სახელით.

როგორი სპორტული შედეგებითა და იმედებით უახლოვდება იაპონია ტოკიოს თამაშებს? მე ვთხოვე ოლიმპიური კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურ მდივანს ესაითოს გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე.

— როგორც საბჭოთა სპორტის მოყვარულებს ახსოვთ, — თქვა გენერალურმა მდივანმა, — უკანასკნელ ოლიმპიადებზე თამაშების ორგანიზატორი ქვეყანა მუდამ იკავებდა III ადგილს. ამიტომ იაპონიასაც არ სურს ამ ტრადიციის დარღვევა. ჩვენი მიზანია III ადგილის მოპოვება სსრ კავშირისა და აშშ-ის შემდეგ. ოქროზე გადაყვანით ეს მიზანი 15 მედალს ეწინის. ჩვენი სპორტული ფედერაციების გამოთვლით, იაპონელებს ელოდებათ ოქროს 30 ჯილდო. მაგრამ ზედმეტად ოპტიმისტები არ უნდა ვიყოთ.

რაში ვართ ძლიერნი და რაში ჩამოვრჩებით? არ მეშინია შევაქო ჩვენი სპორტსმენები. მინდა ვთქვა, რომ ისინი ძალზე ძლიერი არიან ძიუდოსა და ფრენბურთში. ჩვენში გამოვლინდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა ოლიმპიელები სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ცურვაში — კომურა და ფუკუშიმა, სროლაში — კოსაკა, მძლეოსნობაში — იოდა, იძიმა, მარათონში — სიმიხარა, ცუბურაია, ტერასავა, ძალოსნობაში — მიაკე. იოდამ ამას წინათ ეროვნული რეკორდი დაამყარა 80 მეტრზე თარჯრბენში — 10,6 წამი. იძიმამ 100 მეტრის გარბენას 10,1 წამი მოანდომა! იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩვენი სპორტსმენებისთვის დაადგინა ნორმები, რომლის მისაღწევად მათ უნდა ებრძოლათ. მძლეოსნობაში 36 სპორტსმენმა უკვე გადალახა ეს ზღვარი. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებენ ჩვენი ფრენბურთელი ქალები, მსოფლიო ჩემპიონ „ხიტიბოს“ გუნდის წევრები.

სამწუხაროდ, ყველა დარგში როდი შეგვიძლია ვიამაყოთ წარმატებებით, ჩვენთან არც თუ ისე კარგადაა საქმე ცხენოსნურ და საიალქნო სპორტში. თანამედროვე ხუთჭიდში, ველოსპორტში, კალათბურთში, ბალახის ჰოკეიში, ნიჩბოსნობაში. აქ ჩვენ გამარჯვების შანსები არა გვაქვს. როცა სისუსტეებზე ვლაპარაკობთ, ისინი ჩვენს სპორტსმენებს იქაც აქვთ, სადაც ძლიერნი ვართ. ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა დაამუშავეს ურთულესი ახალი ილეთები. ისინი ძალზე ეფექტურია, მაგრამ ამავე დროს საშიშია გამარჯვებისთვის ბრძოლაში.

ჩვენ ორი მდგომარეობა გვახარებს: პირველი — იაპონელ სპორტსმენთა საგრძნობი წარმატებები, მეორე — მათი სულიერი სიმტკიცე. მათ შეიგნეს, რომ უნარი შესწევთ მოიპოვონ სერიოზული გამარჯვებები საზღვარგარეთელ მეტოქეებზე. მაგრამ ჩვენ ყველანი რეალისტები ვართ და ვიცით, რომ მარტო ჩვენი სპორტსმენები როდი მიდიოდნენ წინ. ჩვენი აზრით, მედლების უმრავლესობით I—II ადგილებს ერთმანეთში გაიყოფენ სსრ კავშირი და შეერთებული შტატები. თუმცა ამ ორი ქვეყნის სპორტსმენებს ამჯერად ძალზე გაუჭირდებათ. ისინი იძულებული იქნებიან კვარცხლბეკზე ასასვლელად წინ გაუშვან სხვა ქვეყნის სპორტსმენებიც. ჩვენი ოლიმპიელების გარდა ძალზე ძლიერნი იქნებიან გერმანიის გაერთიანებული გუნდი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, იუგოსლავია.

ტოკიოს თამაშები არნახული იქნება სპორტის ისტორიაში. იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთა ალმები გაიფრიალებენ ოქტომბერში ეროვნულ სტადიონზე, შეადგენს 84-ს. ბუნებრივია, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ აზიაში პირველი ოლიმპიადის პროპაგანდისთვის. ჩვენს მიერ რამდენიმე ქვეყანაში გაგზავნილი ოლიმპიური ბილეთების 90 პროცენტი უკვე გაყიდულია.

დასასრულ მინდა შევჩერდე შორეულ პერსპექტივებზე. იაპონური სპორტი ოლიმპიადის წინა წლებში განსაცვიფრებლად იზრდებოდა. რა იქნება თამაშების შემდეგ? მე ვფიქრობ, ჩვენთან არის შანსები წავიდეთ თქვენი გზით, სპორტის რეგულარული განვითარების გზით. ამაში უდიდეს როლს ასრულებს სპარტაკიადები. მე ვიყავი მოსკოვში სპარტაკიადაზე და განმაცვიფრა მისმა გრანდიოზულობამ, შეჯიბრებათა მაღალმა დონემ. კიდევ უფრო გავკვირდი, როცა გავიგე, რომ ამ დიდ ღონისძიებას წინ უძღოდა რესპუბლიკური სპარტაკიადები. ჩვენთანაც საჭირო იქნება ანალოგიური მუშაობის ჩატარება.

მაშ ასე, გადაეცით საბჭოთა ოლიმპიელებს, რომ მოუთმენლად ველით მათ ტოკიოში.

ბ. ჩეხონინი

ИЗВЕСТИЯ

11 ივლისი, 1964 წ.



ახლახან თბილისში დამთავრებულ რესპუბლიკურ პირველობაზე სასტენდო სროლაში წარმატებას მიაღწია თბილისელმა სპორტის ოსტატმა ტ. ულენტმა. მან მრგვალ სტენდზე 100 შესაძლებლიდან 97 სამიზნე დაამსხვრია და დაამყარა რესპუბლიკური რეკორდი.

სურათზე: ტ. ულენტი შეჯიბრებისას.

ფოტო ო. გელაშვილისა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მინსკი...

მინსკი. „დინამოს“ სტადიონი. 15 ივლისი.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0.

მინსკი: დენისენკო, რიომინი, ზარემბო, საოსტიკოვი, არზამასცევი, უსატორე, მოზერი, ადამოვი, მუსტიგინი, მალაფეევი, პოგალნიკოვი.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი (აფშევი), დათუნაშვილი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

მინსკის „დინამო“ საკმაო ხანია გამოდის ჩემპიონატში თავისი ერთ-ერთი მთავარი ბომბარდირის — მუსტაგინის გარეშე. გუშინ ეს აგრესიული ფეხბურთელი კვლავ ჩადგა მწყობრში და მინსკელთა თავდასხმასაც მეტი სიმძლავრე მიეცა. მიუხედავად ამისა, თბილისელთა დაცვა და მეკარე კოტრიკაძე მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ.

რა თქმა უნდა, მატჩის ყველაზე დრამატული მომენტი იყო ის, როცა ს. ალიმოვმა პენალტი დანიშნა სტუმრების კარში. მეკარე კოტრიკაძემ შეძლო პოგალნიკოვის მიერ დარტყმული ბურთის მოგერიება და კარიც გადარჩენილ იქნა. ბოლო წუთებში ორივე გუნდი თითქოს შეურიგდა ფრეს და ბრძოლაც ასე დამთავრდა — 0:0.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 4:0.

„ჯ“ ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	14	8	3	3	19—6	+13 19
„შახტიორი“ (დონეცკი)	14	6	7	1	19—8	+11 19
„ტორპედო“ (მოსკოვი)	13	7	4	2	24—11	+13 18
„დინამო“ (კიევი)	14	6	6	2	19—12	+7 18
„დინამო“ (თბილისი)	14	7	4	3	18—11	+7 18
სკა (როსტოვი)	14	8	1	5	21—10	+11 17
სკა	13	5	5	3	14—10	+1 15
„დინამო“ (მინსკი)	13	4	6	3	7—6	+1 14
„ვოლგა“ (გორკი)	15	4	6	5	8—16	—8 14
„კაირატი“ (ალმა-ატა)	15	3	6	6	13—17	—4 12
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	14	3	6	5	5—14	—9 12
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	15	3	5	7	8—16	—8 11
„ტორპედო“ (ქუთაისი)	14	4	3	7	8—19	—11 11
„დინამო“ (მოსკოვი)	11	3	4	4	12—10	+2 10
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	14	4	2	8	8—16	—8 10
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	13	2	3	8	10—19	—9 7
„შინიკი“ (იაროსლავლი)	12	2	3	7	8—17	—9 7

„ვოლგა“ — სკა 0:1.
„შინიკი“ — „ზენიტი“ 1:0.
„ნეფტიანიკი“ — სკა 0:1.
„კაირატი“ — „შახტიორი“ 2:2.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 16 ივლისისათვის

მოსკოვი...

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 15 ივლისი.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:1 (0:0).

მოსკოვი: კავაზაშვილი, მუშკოვეცი (ანდრეიუკი), შუსტიკოვი, მეშჩერიაკოვი, სარაევი, ვორონინი, მარუშკო, სოლოვიოვი, ივანოვი, შჩერბაკოვი, სერგეევი.

ქუთაისი: ურუშაძე, ლოსაბერიძე, ნიშნიანიძე, სიამაშვილი, ოდიკაძე, კუტავაძე, სარჯველაძე, დონდუა (ავალიანი), ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

მატჩის დასაწყისშივე ქუთაისელები იერიშზე გადავიდნენ. ჯერ ლოსაბერიძემ, შემდეგ ხერხაძემ სახიფათოდ შეუტიეს მეტოქის კარს, მაგრამ უშედეგოდ. მასპინძელთა ნახევარდაცვისა (ვორონინი — შჩერბაკოვი) და სერგეევის ენერგიული თამაშის წყალობით მდგომარეობა ჯერ გათანაბრდა, ხოლო შემდეგ ინიციატივა მოსკოველთა მხარეზე გადავიდა. ტაიმის დასასრულამდე ქუთაისელთა კარი განიცდიდა მათს საშინელ დაწოლას. მე-13 წუთზე ბრწყინვალედ მოთამაშე ვორონინმა ურუშაძის პირისპირ გაიყვანა შჩერბაკოვი. დარტყმა! მაგრამ ქუთაისელთა მეკარემ აიღო ეს უძნელესი ბურთი. შესვენებამდე ურუშაძემ კიდევ ორჯერ გადაარჩინა თავისი კარი ამკარა საფრთხეს, ხოლო 25-ე წუთზე ივანოვის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში სურათი მკვეთრად შეიცვალა. ახლა მოსკოველ მცველებს უხდებოდათ თავიანთი ოსტატობის დემონსტრირება. გოლის გატანის რეალური შესაძლებლობანი ჰქონდათ ჩხარტიშვილს და ავალიანს, მაგრამ კავაზაშვილი და შუსტიკოვი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, ხოლო მე-60 წუთზე შუშკოვეცმა ბურთი ცარიელი კარიდან გაშოტანა.

71-ე წუთზე ხაჟალია სწრაფად გაეკრა მოსკოველთა კარისკენ, ფიზტების სერიით უკან ჩამოიტოვა სამი მცველი და ულამაზესი გოლი გაიტანა. 1:0! კვლავ ქუთაისელთა იერიშები! მაგრამ 77-ე წუთზე მარუშკომ მოულოდნელად დაარტყა 20-22 მეტრიდან. ყველას, მათ შორის ურუშაძესაც, ეგონა, რომ დარტყმა უსაფრთხო იყო, მაგრამ ბურთი მოხვდა ძელს და ჩაიკრა კარში.

ასე, ანგარიშით 1:1, დამთავრდა ეს საინტერესო შეხვედრა.

დუბლიორთა მატჩში გამარჯვება მოსკოველებს დარჩათ — 4:1.

ნ. ფოფხაძე
(ჩვენი სპეც. კორ.).

„ლორი“ (ქიროვაკანი)—„მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1

ქიროვაკანი, 15 ივლისი (ტელეფონით). გუშინ აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლორი“ და რუსთავის „მეტალურგი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

დიდმნიშვნელოვანი სიახლე

მცირე ხნის წინ მე დავესწარი სპორტკლუბ „განთიადის“ ბავშვთა ტანვარჯიშული სკოლის გაკვეთილს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწვრთნელი სერგო ბურჯანაძე და სისარულით შემიძლია დავასკვნა: თბილისში გამოჩნდა თანამედროვე ტიპის ტანვარჯიშული სკოლა!

ეს სკოლა გამოირჩევა მუშაობის ახალი ფორმების ძიებით და წვრთნის კოლექტიური მეთოდით. გაკვეთილები აქ ჰგანსმალუ-რადაა „დატვირთული“ და აგებულია საინტერესოდ.

სხვა სკოლებისაგან განსხვავებით „განთიადის“ ტანვარჯიშულ სკოლაში ნორჩი სპორტსმენი მხოლოდ ერთ მწვრთნელზე არ არის გაპირობებული. სხვადასხვა საეპოპი იგი სხვადასხვა სპეციალისტთან ვარჯიშობს. აკრობატიკაში — აკრობატთან, თავისუფალ ვარჯიშში — ქორეოგრაფთან, ორძელზე თუ ხტომებში — ამ იარაღების ოსტატებთან და ა. შ. ამრიგად, მოსწავლეთა განსაზღვრულ კონტინგენტს ხელმძღვანელობს მწვრთნელთა ბრიგადა 4 კაცის შეადგენლობით.

თქმა არ უნდა, რომ ეს სისტემა ბევრად დიდ ყურადღებას იმსახურებს და საჭიროა აღნიშნული მიმართებით შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. ახალი სისტემის სასარგებლოდ ლაპარაკობს ბევრი რამ. სახელდობრ, იგი ბავშვებში კოლექტიურობის გრძნობას ამტკიცებს, მათ ცალკეულ ჰედაგოგთა საუკეთესო თვისებებისა და გამოცდილების „კომპლექსური“ ათვისების საშუალებას აძლევს.

დამახასიათებელია გაკვეთილის ორგანიზაცია. აღნიშნულ ტანვარჯიშულ სკოლაში 10-12-წუთიანი საერთო მოთელვის შემდეგ იქმნება 3 ჯგუფი, რომელთაგან ერთი მეცადინეობს ქორეოგრაფიაში, მეორე — აკრობატიკაში, მესამე — ხტომებში. როცა ყველა ჯგუფი გაივლის აღნიშნულ სამივე სახეობას, ისინი სპეციალური განრიგით გადაიან სხვა იარაღებზე.



ყველაზე საგულისხმო მოელენა სკოლის მწვრთნელთა კოლექტივის მუშაობაში არის მუშაობის ახალი ფორმების შემოქმედებითი ძიება და მათი დანერგვა პრაქტიკაში. ამ მხრივ დამახასიათებელია თუნდაც ეს მომენტი: გაკვეთილის დასაწყისს ნორჩი სპორტსმენები მწკრივში ეწყობიან არა მწვრთნელის ძახილით, არამედ, ასე ვთქვათ, შესავალი მუსიკის თანხლებით. ირთვება მაგნიტოფონი და მეოთლიის დასასრულისათვის ბავშვები უკვე მწკრივში არიან.

აუცილებლად ჩამოიჭრება კითხვა: ეს ყველაფერი ერთობ ლამაზია სიტყვებით, მაგრამ რა პრაქტიკული შედეგები მოაქვს ახალ სისტემას? ინებეთ: მწვრთნელთა ჯგუფებს შორის ჩატარებულ ტრადიციულ საქალაქო შეჯიბრებაზე ყველა 5 თანრიგში გამარჯვებულნი გამოვიდნენ მწვრთნელთა იმ ბრიგადის ჯგუფები, რომელსაც ხელმძღვანელობს ს. ბურჯანაძე. მეტიც, ყოველ თანრიგში საუკეთესო ათეულთა შორის „განთიადის“ ტანვარჯიშული სკოლის 4-7 აღსაზრდელი შევიდა. ეს საუკეთესო და უტყუარი შეფასებაა სკოლის 4-წლიანი მუშაობისა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს სპორტკლუბ „განთიადის“ ხელმძღვანელობის დიდი დახმარება, რომელსაც იგი ბავშვთა ტანვარჯიშულ სკოლას უწევს.

ი. ოგანოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

სპორტსაზოგადოების ჩემპიონები

ბათუმი, (ჩვენი კორ.). „განთიადის“ სპორტულ დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის (ორი), ქუთაისის, გორის, ფოლავის, რუსთავის, ახფხეთის, ახარის და სამხრეთ ოსეთის გუნდები.

შეჯიბრება ჩატარდა წრიული სისტემით. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა თბილისის I ნაკრებმა და დამსახურებულად მოიპოვა საზოგადოების ჩემპიონის სპატიო წოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა ახარის ნაკრები, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა თბილისის II კოლექტივს.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ვაჟთა შეხვედრები პირად პირველობაზე. უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად შეჯიბრებაში მონაწილეობდა 32 სპორტსმენი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის ოსტატი ა. არუთინოვი და პირველთანრიგოსანი ნ. ჯაფარიძე. ახალგაზრდა ჯაფარიძემ „მშრალი“ ანგარიშით (2:0) ძლია გამოცდილ ოსტატს. მომდევნო ადგილზე გამოვიდნენ ა. არუთინოვი და თ. ზახარაშვილი (ორივენი — თბილისიდან).

ქალთა შორის ფინალში ერთმანეთს ორი თბილისელი (მ. ჯუბაბრია და ა. ტურბალიანი) შეხვდა, გაიმარჯვა ჯუბაბრიამ — 2:0.

ო. მურვანიძე

სპორტის სანაპიროები

3. რეკლამა— დამამშვიდებელი ამი.

ვრაღაში საღამოს ჩავედით. ხელბურთელები ღელავდნენ, რადგან არავინ დაგვხვდა სპორტული ორგანიზაციებიდან.

— რაშია საქმე, ნუთუ კვლავ პროფესიის შეცვლა მოგვიხდება?— ერთიმეორეს ეკითხებოდნენ ჩვენები. ცოტაოდენი შესვენების შემდეგ პრაღის მთავარ მოედანზე — ვაცლავზე დავაბიჯებდით. ბიჭების ყურადღება მიიპყრო რეკლამამ, რომელიც იუწყებოდა: „17 ივნისი. საერთაშორისო შეხვედრა ხელბურთში. „სპარტაკ-სოკოლოვო“ (პრაღა) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი), დასაწყისი 6 საათზე“.

— აბა, ჩქარა, ბიჭებო, შინისკენ, გვეყოფა სეირნობა! — წამოიძახა ერთ-ერთმა მათგანმა და რეკლამის ცნობით დამშვიდებულმა ხელბურთელებმა გზა სასტუმროსკენ აიღეს. საჭირო იყო დასვენება, — მგზავრობით დაქანცულებს მეორე დღესვე თამაში ელოდათ.

...მწვრთნელ გ. შარაშიძესთან ერთად დილაადრიანად „სპარტაკ-სოკოლოვოს“ სტადიონისკენ გავემართე. რეკლამა რეკლამაა, მაგრამ საჭიროა გუნდის მესვეურებთან გაცნობა. იქ შემოგვხვდა „სპარტაკ-სოკოლოვოს“ ფეხბურთელთა გუნდის ადმინისტრატორი, 70 წლის კარელ იაროში. იგი ტკბილად მოუბარი მოხუცი აღმოჩნდა, მაშინვე აფუსფუსდა, ყოველნაირად ცდილობდა ჩვენს სიამოვნებას... მისგან გავიგეთ, რომ სპორტული კლუბი „სპარტაკ-სოკოლოვო“ ერთ-ერთი უძველესია ჩეხოსლოვაკიაში, გასულ წელს მან 70 წლის იუბილე გადაიხადა.

— ასე რომ, ეს კლუბი ჩემი ხნისაა,— ღიმილით გვითხრა ქ. იაროშმა და თან დასძინა,— მე მას 1922 წლიდან ვემსახურები. როგორც კი გაიგო მოხუცმა, რომ ფრანტიშეკ პლანიჩკასთან შეხვედრა გვსურდა, უმალ ამ ლეგენდარული მეკარის ტელეფონის ნომერი გამოქექა. ნომერი ჩავიწერე, მაგრამ მასთან დასარეკად დრო არ დაგვრჩა, რადგან ამ კლუბის ხელბურთელთა ხელმძღვანელების — ექიმ მიროსლავ კუჩერასა და ტექნიკური ხელმძღვანელის იოზეფ ვრშეკის შემოსწრებამ საუბრის თემა შეგვაცვლევინა. სწორედ მათგან გავიგეთ, რომ „სპარტაკ-სოკოლოვომ“ წლევანდელი გათამაშების II ლიგაში I ადგილი დაიკავა და ახლა I ლიგაში გადასასვლელი მატჩებისთვის ემზადება. ამგვარად, პირველი შეხვედრა არც თუ ძლიერ გუნდთან გვექნება.

დავთვალიერეთ წითელი ქვიშით მოკირწყლული სათამაშო მოედანი. დახურულ დარბაზში თამაშს შეჩვეულ თბილისელებს აქ გაუჭირდებათ... რა გაეწყობა! შევთანხმდით ერთ დეტალზეც— მსაჯი ადგილობრივი იქნება...

მატჩს დაწყებამდე დიდი დროა. მასპინძლებმა თავიანთი სპორტული კლუბის მუზეუმში შეგვიპატიჟეს. აქ რამდენიმე ოთახში თავი მოუყრიათ 1893 წლიდან დღემდე სპორტულ ასპარეზობებში მოპოვებული ნადავლისთვის — თასებისთვის, ვიმპელებისთვის, სამახსოვრო ნიშნებისათვის, გამოჩენილ სპორტსმენთა ფაქსიმილიანი ბურთებისათვის და სხვ. მოკლედ, ძვირფასი ექსპონატების საშუალებით თვალწინ გადაგვეშალა ძველი სპორტული კლუბის სასახელო ბიოგრაფია. ეჰ, რატომ არა გვაქვს ჩვენ ასეთი მუზეუმები საქართველოში?! საჭირო კია! განა ჭართული სპორტის ძვირფასი ტრადიციების, მისი მიღწევების ამსახველი მასალების შეგროვება და გამოფენა საჭირბოროტო, საშვილიშვილო საქმედ არ უნდა გვესახებოდეს?

ჯ. ენუქიძე

მძლეოსნური ნარევი

□ **ამერიკის** მძლეოსნობის ისტორიაში მოხდა უჩვეულო ამბავი — აშშ-ის ოლიმპიური გუნდის მწვრთნელის პოსტზე დანიშნეს ზანგი ედი ჰიორტე. მართალია, იგი ახალი უფროსი მწვრთნელის ბ. გრეინბაჰის ასისტენტია, მაგრამ ფაქტი ფაქტია, ზანგს მიანდეს გუნდის ბედი.

□ **რამდენი** ხანი შეძლება გავიდეს რეკორდის დამყარებიდან დამტკიცებამდე? ჩვეულებრივ რამდენიმე კვირა, თვე, წელი, მაქსიმუმ ორიც. მაგრამ იყო გამონაკლისი. იტალიის რეკორდი სამხტომში ოფიციალურად დამტკიცდა... დამყარებიდან 50 წლის შემდეგ. 1913 წელს ფ. ჯიულიმ სამხტომში აჩვენა მანამდე მიუღწეველი შედეგი 12,05 მეტრი, მაგრამ ოქმები დაკარგა და შედეგიც დავიწყებას მიეცა. შარშან იტალიის მძლეოსნობის ფედერაცია შემთხვევით წააწყდა ოქმებს და ოფიციალურად აღიარა ეს შედეგი პირველ ეროვნულ რეკორდად.

□ **მძლეოსნობის** გარიერაჟზე ბევრ ქვეყანაში პოპულარული იყო სპრინტერული რბენა გადიკაპათ. ახლა ეს სახეობა შემორჩა მხოლოდ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ამას წინათ ახალგაზრდა ახალზელანდიელმა კ. კროსკერმა 100 იარდზე გაიმეორა ოფიციალური მსოფლიო რეკორდი — 9,2 წამი, მაგრამ იგი რეკორდად არ აღიარეს, ვინაიდან კროკერის ერთმა მოწინააღმდეგემ სტარტი აიღო 8 იარდით, მეორემ კი 12 იარდით წინ.



დაფაზე დარჩა მხოლოდ „დედოფალი“

ფოტოეტიუდი ა. მამასახლისისა.

◆ **სპალე** (პოლონეთი). აქ საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა მძლეოსნებმა — პოლონეთის ოლიმპიური გუნდის კანდიდატებმა გასულ კვირას გამართეს ასპარეზობა, რომლის დროს ქვეყნის ახალი რეკორდი ჰოკეი ხტომაში დაამყარა ვ. სოკოლოვსკიმ — 502 სმ! სიმაღლეზე მხტომელმა ე. ჩერნიკმა აჩვენა 218 სმ. ეს შედეგი 2 სანტიმეტრით აღემატება მისივე ეროვნულ მღწევას, მაგრამ იგი რეკორდად არ ჩაითვლება, რადგან ჩერნიკმა სიმაღლე ოფიციალური ასპარეზობის შემდეგ დაძლია (მეოთხე ცდისას).

◆ **ბუდაპეშტი.** გასულ შაბათსა და კვირას აქ დიდი ინტერესი გამოიწვია უნგრეთისა და პოლონეთის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ამხანაგურმა მატჩებმა. ორივე თამაში მოიგეს მასპინძლებმა: შაბათს — 3:2, კვირას — 3:1.

◆ **ბოსტონი.** პოპულარული ამერიკელი მომღერალი ბინ კროსბი კრივისა და გოლფის დიდი მოტრფიალეა. ეს გაითვალისწინა შეერთებული შტატების გოლფისტთა ერთ-ერთმა მსხვილმა გაერთიანებამ და იგი საპატიო პრეზიდენტად აირჩია.

◆ **ჩიკაგო.** წარსულში ცნობილი პროფესიონალი მოკრივე პრიმო კარნერა (წარმოშობით იგი იტალიელია) დიდ ხანს მოღვაწეობდა ჰოლივუდში. უკანასკნელ ხანებში მან კინოსთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და ხელი მოწერლობას მიჰყო. ამას წინათ კარნერამ დაამთავრა 200-გვერდიანი ავტობიოგრაფიული რომანი — „მუცელი, რომელმაც დიდება მომიტანა“. ავტობიოგრაფიაში დაწვრილებითაა აღწერილი მისი კარიერა კრივსა და კეტჩში.

◆ **ნიუ-იორკი.** „მედისონ სკვერ გარდენში“ გაიმართა ქვეძმიე წონის პროფესიულ მოკრივეთა მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი ბობი ოლსონი და ახალგაზრდა პონი პარსელა. ბრძოლა მე-10 რაუნდში ნოკაუტით პარსელამ მოიგო. 24 წლის პონი პარსელას პროფესიულ რინგზე ჩატარებული აქვს 13 შეხვედრა, აქედან 12 ბრძოლა მან ნოკაუტით მოიგო.

უელსის ფედერაცია ეშმაკობს

როგორც ცნობილია, ფეხბურთში მსოფლიოს VIII ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ერთად არიან მოხვედრილი სსრ კავშირი, დანია, უელსი და საბერძნეთი.

უელსის ფეხბურთის ფედერაცია საგანგებოდ ემზადება მომავალი ტურნირისთვის. ეს მზადება გამოიხატა თუნდაც იმაში, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ კარდიფში გამოაქვეყნა მომავალ შესარჩევ შეხვედრათა სავარაუდო კალენდარი თავისი გუნდისათვის, რომელიც განსახილველად დაეგზავნა მის მეტოქეებს.

კალენდარი ასეთია: **1964 წლის 21 ოქტომბერი** — დანია — უელსი, **9 დეკემბერი** — საბერძნეთი — უელსი, **1965 წლის 17 მარტი** — უელსი — საბერძნეთი, **30 მაისი**— სსრ კავშირი — უელსი, **27 ოქტომბერი** — უელსი — სსრ კავშირი, **1 დეკემბერი** — უელსი — დანია.

უელსის ფეხბურთის ფედერაცია ეშმაკობს. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ კალენდარში თავიდანვე გარკვეული პრივილეგიებია დასახული ამ ქვეყნის ნაკრებისათვის: ყველა პირველ შეხვედრას იგი ატარებს მეტოქის მინდორზე. ეს კი გუნდის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს საკუთარ მინდორზე ყველა განმეორებით მატჩს კონკრეტული ამოცანებით შეხვდეს.

„მარაკანას“ შემდეგ...

მეხიკოში მთავრდება დიდი სტადიონის — „ასტეკის“ მშენებლობა, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ შემდეგ მსოფლიოში უდიდესი იქნება.

ამ სტადიონის გახსნასთან დაკავშირებით მექსიკის დედაქალაქში მოეწყობა საინტერესო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ადგილობრივი გუნდების გარდა ითამაშებენ მსოფლიოს უძლიერესი საკლუბო გუნდები „სანტოსი“ (ბრაზილია), „რეალი“ (ესპანეთი), „სტანდარდი“ (ბელგია) და „ბენფიკა“ (პორტუგალია).



უსიტყვოდ...

ნახატი რ. გაბრიაძისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი: სპორტულ სექტორში — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ან სპორტული წვრთნის მეცნიერული საფუძვლების დარგში დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის დიდი სტაჟის მქონე სპეციალისტი — 1.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი: სპორტის ფიზიოლოგიის სექტორში — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ან სპორტული ფიზიოლოგიის დარგში მუშაობის დიდი სტაჟის მქონე სპეციალისტი — 1.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი: მასობრივი ფიზკულტურის სექტორში — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ან სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის დარგში მუშაობის დიდი სტაჟის მქონე სპეციალისტი — 1.

უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი: სპორტის ფიზიოლოგიის სექტორში — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ან სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზკულტურული და სპორტული მეცადინეობის საექიმო კონტროლის დარგში მუშაობის სტაჟის მქონე სპეციალისტი — 2.

უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი: სპორტის ფიზიოლოგიის სექტორში — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ან სპორტულ ფიზიოლოგიასა და ბიოქიმიაში დიდი სტაჟის მქონე სპეციალისტი — 1.

უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი: სპორტის ფიზიოლოგიის სექტორში — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ან სპეციალისტა სპორტის ბიოქიმიის დარგში და სპორტში დიდი სტაჟის მქონე — 1.

უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი: სპორტულ სექტორში — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ან მოზარდთა სპორტის დარგში დიდი სტაჟის მქონე სპეციალისტი — 1.

უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი: სპორტულ სექტორში — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ან არანაკლებ ორი უცხო ენის მცოდნე (ინგლისური, ფრანგული და სხვ.) სპორტის სპეციალისტი — 1.

უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი: მასობრივი ფიზკულტურის სექტორში — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ან საწარმოო ტანვარჯიშის დარგში დიდი სტაჟის მქონე სპეციალისტი — 1.

კონკურსის ყველა მონაწილისთვის **სავალდებულოა სამეცნიერო მუშაობის სტაჟი** და ამ განცხადებაში აღნიშნული პროფილების დარგში **დაბეჭდილი მეცნიერული შრომები.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა წერილობითი განცხადება და სათანადო საბუთები უნდა შეიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: **თბილისი, ნინოშვილის ქ. № 57, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.**

კონკურსის ვადაა ერთი თვე ღიღან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

დირექცია.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 08276